ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302534959**
თარიღი: **15/12/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2025 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით კერძოდ:

2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებაში მიმდინარე წლის 10 დეკემბრის N2081 განკარგულებით შესული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გამოიყო 3500000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, რომელიც მიიმართება გზებისა და ხიდეების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2781205 ლარი, ნაპირსამაგრ სამუშაოების რეაბილიტაციაზე 718795 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 04 აპრილის N1604/1 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოიყო 125629,67 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 თებერვლის N332 განკარგულებაში მიმიდნარე წლის 10 დეკემბრის N2082 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს გამოეყო ფინანსური დახმარება 400000 ათასი ლარი, ფინანსური დახმარების გეგმის 400000 ლარით ზრდის ხარჯზე შემცირდეს სხვა შემოსავლების გეგმა 300000 ლარით, მათშორის ჯარიმები სანქციები და საურავებიდან შემოსავალის გეგმის 200000 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმა 100000 ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) შემოსავლის გეგმა შემცირდეს 100000 ლარით.

აღნიშნული საბიუჯეტო ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი